

შპს მეგაკო თრეიდი

2023 წლის დეკემბრი მდგომარეობით და ამ თარიღით
დასრულებული წლისათვის ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	10
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა	20
6. ძირითადი საშუალებები	21
7. არამატერიალური აქტივები	22
8. გაცემული სესხები	22
9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	23
10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
12. სესხები	24
13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	25
14. ამონაგები	25
15. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი	25
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
17. ფინანსური ხარჯი (ნეტო)	26
18. ფინანსური ინსტრუმენტები	26
19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	27
20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29
შპს “მევაკო თრეიდი”-ს მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)	30
4. დასაქმებულთა რაოდენობა	35
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	35
6. რისკების მართვა	35
7. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	35
8. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა	35
9. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს “მეგაკო”-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “მეგაკო თრეიდის”-ს (შემდგომში, ტექსტში კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. (ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ, 7 - 29 გვერდებზე).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, შსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენნი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 3.3. შენიშვნის - საწარმოს უწყვეტობის პრინციპი - ნაწილზე, რომელიც ასახავს რომ: „კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებულმა და პერიოდის ბარალმა შეადგინა 25,710 და 2,716. კომპანიას 2023 და 2022 წლს უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადი აქვს. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დედა კომპანიის შპს მეგაკოს მხრიდან დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანია იმყოფება განვითარების ეტაპზე, 2023 წლის განმავლობაში დაფიქსირებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია გაგრძელდება 2024 და მომავალ წლებში. მომავალში მისი დამფუძნებლის ფინანსური დახმარებით და ახალი პროდუქტების ათვისების გზით კომპანიას დაგეგმილი აქვს მომავალი ნორმალიზებული მომგებიანი ოპერირება, ამასთანავე, მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, კომპანია თვლის, რომ მომავალშიც საჭიროების შემთხვევაში დედა კომპანია გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას და მხარდაჭერას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მომავალი შეუფერხებელი და მდგრადი ფუნქციონირება. ამ

პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“ ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა სანარმო. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე 2.2 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შესწორებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებებთან მიმართებაში.

დაკავშირებული კომპანიის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფის სოლიდარული პასუხისმგებლობა. ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 19.3-ე შენიშვნაზე, რომელშიც მოცემულია დაკავშირებული მხარის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიის და მისი დედა კომპანიის მიერ ნაკისრი სოლიდარული პასუხისმგებლობის დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2024 წლის 27 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკონსოლიდაცია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 29-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“- ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“- ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სანარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად სანარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმათ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამომწვევ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევსწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგვათ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვანვდიტ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 27 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, 29-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 27 დეკემბერი

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 27 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, 29-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 27 დეკემბერი

თბილისი, საქართველო

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
			ჩასწორებული	ჩასწორებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	124	37	7
არამატერიალური აქტივები	7	24	25	21
გაცემული სესხები	8	3,553	4,486	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,701	4,548	28
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	3,479	2,996	2,152
საგაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	5,477	4,787	4,321
გაცემული სესხები	8	1,075	965	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	45	79	65
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,076	8,827	6,538
სულ აქტივები		13,777	13,375	6,566
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		1,480	1,480	1,480
დაგროვილი ზარალი		(25,710)	(22,994)	(20,323)
სულ საკუთარი კაპიტალი		(24,230)	(21,514)	(18,843)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	3,542	4,575	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,542	4,575	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	12	28,504	25,611	21,436
საგაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	5,961	4,703	3,973
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		34,465	30,314	25,409
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		13,777	13,375	6,566

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

შპს “მეგაკო თრედი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
ამონაგები	14	21,812	17,607
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(17,115)	(14,201)
საერთო მოგება		4,697	3,406
გაყიდვებისა და სადისტრიბუციო ხარჯი	15	(3,904)	(2,975)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,020)	(725)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	17	(2,560)	(2,468)
სხვა მოგება (ნეტო)		71	91
მიმდინარე წლის ზარალი		(2,716)	(2,671)
სულ მიმდინარე წლის ზარალი		(2,716)	(2,671)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	23,245	20,038
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(23,451)	(21,336)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	(206)	(1,298)
გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტი	727	231
გადახდილი პროცენტი	(1,421)	(880)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(900)	(1,947)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(122)	-
გაცემული სესხები	-	(5,783)
გაცემული სესხებიდან მიღებული ძირი	902	315
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი/(გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები	780	(5,468)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	1,044	7,799
სესხის ძირის დაფარვა	(905)	(317)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	139	7,482
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	19	67
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	79	65
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(53)	(53)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	45	79

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	1,480	(20,323)	(18,843)
2022 წლის სრული ზარალი	-	(2,671)	(2,671)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს (ჩასწორებული)	1,480	(22,994)	(21,514)
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	1,480	(22,994)	(21,514)
2023 წლის სრული ზარალი	-	(2,716)	(2,716)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,480	(25,710)	(24,230)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

შპს "მეგაკო თრედი"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
		ჩასწორებული	ჩასწორებული	ჩასწორებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	124	37	7
არამატერიალური აქტივები	7	24	25	21
გაცემული სესხები	8	3,553	4,486	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,701	4,548	28
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	3,479	2,996	2,152
საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	5,477	4,787	4,321
გაცემული სესხები	8	1,075	965	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	45	79	65
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,076	8,827	6,538
სულ აქტივები		13,777	13,375	6,566
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		1,480	1,480	1,480
დაგროვილი ზარალი		(25,710)	(22,994)	(20,323)
სულ საკუთარი კაპიტალი		(24,230)	(21,514)	(18,843)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	3,542	4,575	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,542	4,575	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	12	28,504	25,611	21,436
საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	5,961	4,703	3,973
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		34,465	30,314	25,409
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		13,777	13,375	6,566

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



შპს "შეგაკო ტრეიდი"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
ამონაგები	14	21,812	17,607
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(17,115)	(14,201)
საერთო მოგება		4,697	3,406
გაყიდვებისა და სადისტრიბუციო ხარჯი	15	(3,904)	(2,975)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,020)	(725)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	17	(2,560)	(2,468)
სხვა მოგება (ნეტო)		71	91
მიმდინარე წლის ზარალი		(2,716)	(2,671)
სულ მიმდინარე წლის ზარალი		(2,716)	(2,671)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



შპს "მეგაკო თრედი"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	23,245	20,038
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(23,451)	(21,336)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	(206)	(1,298)
გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტი	727	231
გადახდილი პროცენტი	(1,421)	(880)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(900)	(1,947)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(122)	-
გაცემული სესხები	-	(5,783)
გაცემული სესხებიდან მიღებული ძირი	902	315
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი/(გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები	780	(5,468)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	1,044	7,799
სესხის ძირის დაფარვა	(905)	(317)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	139	7,482
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	19	67
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	79	65
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(53)	(53)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	45	79

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



შპს "მეგაკო თრეიდი"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	1,480	(20,323)	(18,843)
2022 წლის სრული ზარალი	-	(2,671)	(2,671)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის (ჩასწორებული)	1,480	(22,994)	(21,514)
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	1,480	(22,994)	(21,514)
2023 წლის სრული ზარალი	-	(2,716)	(2,716)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	1,480	(25,710)	(24,230)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 27 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მეგაკო თრეიდი“ (კომპანია) დაარსდა 2012 წლის 30 ივლისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 404953528). შპს „მეგაკო თრეიდი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების დისტრიბუცია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., 3ა, ბ. 50. სამივე საანგარიშო თარიღისთვის კომპანიის 100%-ის მფლობელს და დედა კომპანიას წარმოადგენს შპს „მეგაკო“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204875108).

2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

დამფუძნებლები	ფლობა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2022 წლის 31 დეკემბრისათვის
კახა გოგავა (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01030022617)	23.33%	23.33%
ირინე ხაზარაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01024001864)	15%	15%
სოფიო ხაზარაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01030003653)	15%	15%
კობა თაყაიშვილი (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01034005761)	11.67%	11.67%
მერაბ გაგუა (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01026008003)	11.67%	11.67%
ინგა სვანიძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01024055467)	11.67%	11.67%
გრიგოლ ლომთაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01022004370)	11.66%	11.66%

კომპანიაში 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 142 და 135 ფიზიკური პირი შესაბამისად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2022 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგებები არ ჩასწორებულა ჩასწორების დეტალები და მიზეზები მოცემულია ქვემოთ:

შპს “მეგაკო თრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2022 ჩასწორებული	ჩასწორება	31.12.2022 ჩასწორებამდე
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	37	-	37
არამატერიალური აქტივები	25	-	25
გაყვანილი სესხები	4,486	(56)	4,542
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,548	(56)	4,604
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,996	-	2,996
საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,787	(425)	5,212
გაყვანილი სესხები	965	56	909
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	79	-	79
სულ მოკლევადიანი აქტივები	8,827	(369)	9,196
სულ აქტივები	13,375	(425)	13,800
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1,480	-	1,480
დაგროვილი ზარალი	(22,994)	24	(23,018)
სულ საკუთარი კაპიტალი	(21,514)	24	(21,538)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	4,575	(17,426)	22,001
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	4,575	(17,426)	22,001
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	25,611	17,426	8,185
საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,703	(449)	5,152
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	30,314	16,977	13,337
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	13,375	(425)	13,800

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	01.01.2022 ჩასწორებული	ჩასწორება	01.01.2022 ჩასწორებამდე
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	-	7
არამატერიალური აქტივები	21	-	21
სულ გრძელვადიანი აქტივები	28	-	28
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,152	-	2,152
საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,321	(365)	4,686
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	65	-	65
სულ მოკლევადიანი აქტივები	6,538	(365)	6,903
სულ აქტივები	6,566	(365)	6,931
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1,480	-	1,480
დაგროვილი ზარალი	(20,323)	(20)	(20,303)
სულ საკუთარი კაპიტალი	(18,843)	(20)	(18,823)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	(15,670)	15,670
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(15,670)	15,670
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	21,436	15,670	5,766
საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,973	(345)	4,318
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	25,409	15,325	10,084
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	6,566	(365)	6,931

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება:

	31.12.2022 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)	ჩასწორება	31.12.2022 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებამდე)
ამონაგები	17,607	-	17,607
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(14,201)	-	(14,201)
საერთო მოგება	3,406	-	3,406
გაყიდვებისა და სადისტრიბუციო ხარჯი	(2,975)	-	(2,975)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(725)	(77)	(648)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	(2,468)	(90)	(2,378)
სხვა მოგება (ნეტო)	91	211	(120)
მიმდინარე წლის ზარალი	(2,671)	44	(2,715)
სულ მიმდინარე წლის ზარალი	(2,671)	44	(2,715)

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება:

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)	ჩასწორება	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებამდე)
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	20,038	(1,181)	21,219
მომწოდებლებისთვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(21,336)	1,111	(22,447)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	(1,298)	(70)	(1,228)
გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტი	231	(4)	235
გადახდილი პროცენტი	(880)	-	(880)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,947)	(74)	(1,873)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხები	(5,783)	-	(5,783)
გაცემული სესხებიდან მიღებული ძირი	315	315	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი/(გამოყენებული) ნეტო ფულადი სახსრები	(5,468)	315	(5,783)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხი	7,799	-	7,799
სესხის ძირის დაფარვა	(317)	(317)	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	7,482	(317)	7,799
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	67	(76)	143
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	65	-	65
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(53)	76	(129)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	79	-	79

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება:

ჩასწორებამდე

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (ჩასწორებამდე)	1,480	(20,303)	(18,823)
2022 წლის სრული ზარალი	-	(2,715)	(2,715)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის (ჩასწორებამდე)	1,480	(23,018)	(21,538)

ჩასწორების შემდეგ

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	1,480	(20,323)	(18,843)
2022 წლის სრული ზარალი	-	(2,671)	(2,671)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის (ჩასწორებული)	1,480	(22,994)	(21,514)

ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში ცვლილებები გამოწვეული იყო სესხების და დებიტორ კრედიტორების რეკლასიფიკაციებთან დაკავშირებით. სხვა უმნიშვნელო ჩასწორებების ჯამური ეფექტი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილ ზარალზე შეადგენდა 24 ათას ლარს.

2022 წლის მოგება ზარალისა და ფულად ნაკადის ანგარიშგებაზე ცვლილებები გამოწვეული იყო ძირითადად რეკლასიფიკაციებით. უმნიშვნელო ჩასწორებების ჯამური ეფექტი შედეგზე და ჯამურ ფულად ნაკადზე შეადგენდა 44 ათას და 77 ათას ლარს შესაბამისად.

2.3 შემოსავლის აღიარება.

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და განუღებელ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

2.4 წარდგენის ვალუტა.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად აშშ დოლართან მიმართებაში იყო შემდეგი:

	გაცვლითი კურსი
2022 წლის 1 იანვარს	3.0976
2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020
2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებულ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარფიქვით მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	2- 5
მონეტარული საშუალებები	3;4
საოფისო ტექნიკა და ავეჯი	4
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1.3

2.6 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით.

2.7 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

იმ არამონეტარულ აქტივებს, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე, იმ აქტივებს, რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის, არ ერიცხებათ ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთასა და ამორტიზაციას, ასევე, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის ღონეზე, რომლის ღონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს, მათ ამჟამინდელ ადგლსა და მდგომარეობაში მოსაყვანად განეულ დანახარჯებს.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მომსახურების განვითარება და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად, შესაბამისად.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, შესაბამისად.

2.11 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შეგებულება და ავადმყოფობის გამო შეგებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.13 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდება ნეტო სიდიდით, ან მოხდება აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.14 კაპიტალი.

შპს „მეგაკოს“ სარეგისტრაციო მონაცემები არ არის მოყვანილი მენარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისობაში, რის გამოც კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ არის თანხვედრაში კანონით განსაზღვრულ კაპიტალის სტრუქტურასთან. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები, მათ შორის კაპიტალთან დაკავშირებული მონაცემები, ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანილ უნდა იყოს 2025 წლის 1 აპრილამდე. ვინაიდან კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ შეესაბამება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული კაპიტალის სტრუქტურას, კომპანიის კაპიტალი წარმოდგენილია ერთიანი კაპიტალის სახით. კაპიტალი შევსებულია სრული ოდენობით.

2.15 ნასესხები საშუალებები

ნასესხები საშუალებების აღიარება თავდაპირველად ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.16 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთვებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.17 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი და 1 ევრო = 2.9753. (2022 წლის 31

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონიერულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 დაკავშირებული კომპანიის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით სოლიდარული პასუხისმგებლობის აღება. იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 24.3.

3.2. საჯარო დებიტორების გაუფასურება. კომპანია პერიოდულად აფასებს საეჭვო ვალდებულებების გაუფასურების მიდგომებს. კომპანია გაუფასურების წარმოებისას ეყრდნობა თავის შიდა შეფასებებს და სწამს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების რეზერვები წარდგენილია სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. დეტალები იხილეთ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 13-ში.

3.3. საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებულმა და პერიოდის ბარალმა შეადგინა 25,710 და 2,716. კომპანიას 2023 და 2022 წლს უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადი აქვს. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დედა კომპანიის შპს მეგაკოს მხრიდან დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანია იმყოფება განვითარების ეტაპზე, 2023 წლის განმავლობაში დაფიქსირებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია გაგრძელდება 2024 და მომავალ წლებში. მომავალში მისი დამფუძნებლის ფინანსური დახმარებით და ახალი პროდუქტების ათვისების გზით კომპანიას დაგეგმილი აქვს მომავალი ნორმალიზებული მომგებიანი ოპერირება, ამასთანავე, მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, კომპანია თვლის, რომ მომავალშიც საჭიროების შეემთხვევაში დედა კომპანია გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას და მხარდაჭერას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მომავალი შეუფერხებელი და მდგრადი ფუნქციონირება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

შპს “მეგაკო თრედი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულებაწმინდა საბალანსო ღირებულება:	მოწყობილო- ბები	საოფისე ტექნიკა და ავტო	სატრანსპორ- ტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბერს	13	2	-	-	15
შეძენა	2	2	33	-	37
2022 წლის 31 დეკემბერს	15	4	33	-	52
შეძენა	16	12	14	80	122
2023 წლის 31 დეკემბერს	31	16	47	80	174
ცვეთა:					
2021 წლის 31 დეკემბერს	8	-	-	-	8
პერიოდის ცვეთა	2	1	4	-	7
2022 წლის 31 დეკემბერს	10	1	4	-	15
პერიოდის ცვეთა	4	2	9	20	35
2023 წლის 31 დეკემბერს	14	3	13	20	50
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2021 წლის 31 დეკემბერს	5	2	-	-	7
2022 წლის 31 დეკემბერს	5	3	29	-	37
2023 წლის 31 დეკემბერს	17	13	34	60	124

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება:	
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30
შეძენა	5
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35
შეძენა	12
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47
ამორტიზაცია:	
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
პერიოდის ამორტიზაცია	1
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
პერიოდის ამორტიზაცია	13
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	21
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24

8. გაცემული სესხები

გრძელვადიანი ნაწილი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	2021 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხის გრძელვადიანი ნაწილი	3,553	4,486	-
სულ გაცემული სესხები გრძელვადიანი	3,553	4,486	-

მოკლევადიანი ნაწილი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	2021 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)
თანამშრომლებზე გაცემული სესხი	291	291	291
თანამშრომლებზე გაცემული სესხების რეზერვი	(291)	(291)	(291)
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხის მიმდინარე ნაწილი	1,030	909	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხის მისაღები პროცენტი	45	56	-
სულ გაცემული სესხები მიმდინარე	1,075	965	-

შპს “მეგაკო თრედი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	2021 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)
გასაყიდი საქონელი	3,368	2,904	2,087
სხვა მარაგები	111	92	65
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	3,479	2,996	2,152

დედა კომპანიის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიისა ყველა სასაქონლო მატერიალური მარაგი, არსებული და სამომავლო დაგირავებულია.

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	2021 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7,828	6,726	6,431
საექვო ვალების რეზერვი	(2,526)	(2,332)	(2,459)
გადახდილი ავანსები	271	463	348
გადახდილი ავანსების რეზერვი	(202)	(146)	(70)
სხვა მოთხოვნები	106	76	71
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (ნეტო)	5,477	4,787	4,321

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა

	2023	2022
1 იანვრისათვის	2,332	2,459
გადაანგარიშება	194	(127)
31 დეკემბრის მდგომარეობით	2,526	2,332

გადახდილი ავანსების რეზერვის მოძრაობა

	2023 წ.	2022 წ.
1 იანვრის მდგომარეობით	146	70
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	56	76
31 დეკემბრის მდგომარეობით	202	146

დედა კომპანიის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიისა სავაჭრო დებიტორული არსებული და სამომავლო დაგირავებულია.

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	2	1	1
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	43	78	64
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45	79	65

12. სესხები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	2021 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)
მოკლევადიანი სესხი მოთხოვნამდე	18,415	17,426	15,670
მოთხოვნამდე სესხის გადასახდელი პროცენტი	9,009	7,222	5,766
ვადგადიცილებული			
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	1,036	909	-
გრძელვადიანი სესხის გრძელვადიანი ნაწილი	3,542	4,575	-
გრძელვადიანი სესხის გადასახდელი პროცენტი	44	54	-
სულ სესხები	32,046	30,186	21,436

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	2021 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:			
1 წლის ვადაში	28,504	25,611	21,436
1-დან 3 წლამდე ვადაში	2,532	2,243	-
3-დან 6 წლამდე ვადაში	1,010	2,332	-
სულ	32,046	30,186	21,436

კომპანიის ყველა სესხი აღებულია ლარში. სესხები აღებულია დედა კომპანიიდან. სესხის პროცენტი შეადგენს 14.5 პროცენტს.

შპს “მეგაკო თრედი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. საგაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	2021 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)
საგაჭრო კრედიტორული დავალიანება	5,179	4,205	3,410
გადასახდელი ხელფასები	117	44	73
გადასახდელი გადასახადები	467	327	364
მიღებული ავანსები	64	44	57
სხვა ვალდებულებები	134	83	69
სულ საგაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,961	4,703	3,973

14. ამონაგები

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
შემოსავალი საქონლის დისტრიბუციიდან	20,768	17,345
შემოსავალი მარკეტინგული/სარეკლამო საქმიანობიდან	918	210
სხვა შემოსავალი	126	52
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	21,812	17,607

15. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
შრომის ანაზღაურება	2,717	1,925
საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯი	741	695
იჯარის ხარჯი	408	332
ცვეთა და ამორტიზაცია	10	7
სხვა ხარჯები	28	16
სულ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	3,904	2,975

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
შრომის ანაზღაურება	500	431
საექვო ვალების ხარჯი (დებიტორები)	193	-
საექვო ვალების ხარჯი (ავანსები)	56	77
საგადასახადო ხარჯი	51	39
იჯარის ხარჯი	39	30
კომუნიკაციის ხარჯები	37	47
ცვეთა და ამორტიზაცია	38	1
საკონსულტაციო ხარჯები	29	19
საბანკო ხარჯი	11	12
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	66	69
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,020	725

17. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
საპროცენტო შემოსავალი	715	235
საპროცენტო ხარჯი	(3,143)	(2,614)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(132)	(89)
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	(2,560)	(2,468)

18. ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
აქტივები		
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5,302	4,394
- დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	4,628	5,451
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	43	78
სულ ფინანსური აქტივები	9,973	9,923
ვალდებულებები		
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,179	4,205
- სესხები	32,046	30,186
სულ ფინანსური ვალდებულებები	37,225	34,391

19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

19.1 სასამართლო დავები.

პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა რომ, კომპანიას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებება.

19.2 ზოგადად სავადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს სავადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს სავადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამატებით და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და სავადასახადო შემოსევების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

19.3 დაკავშირებული კომპანიის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით სოლიდარული პასუხისმგებლობის აღება.

2019 წლის 14 ნოემბერს დაკავშირებული მხარის საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიასა და მის დედა კომპანიას თავდებობის ფარგლებში ნაკისრი აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობა. დაკავშირებული მხარის საბანკო საკრედიტო ხაზი გაცემულია 20 წლის ვადით, საკრედიტო ლიმიტი შეადგენს 10 მილიონ აშშ დოლარს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ თავდებობის ფარგლებში დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხის ნაშთები ნოლის ტოლია. ამ თარიღებისათვის ჯგუფიდან არ გასულა არანაირი ეკონომიკური სარგებელი აღნიშნული სოლიდარული პასუხისმგებლობის ფარგლებში. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ კომპანიიდან და მისი შვილობილი კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემულ საკრედიტო ხაზის ფარგლებში აღებულ სესხებს. ამ მიზეზთა გამო, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიღოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარე	მანაჯმენტი
კრედიტორული დავალიანება	997	477	-
მოკლევადიანი სესხი მოთხოვნამდე	18,415	-	-
მოთხოვნამდე სესხის გადასახდელი პროცენტი	9,009	-	-
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	1,036	-	-
გრძელვადიანი სესხი გრძელვადიანი ნაწილი	3,542	-	-
გრძელვადიანი სესხის გადასახდელი პროცენტი	44	-	-
გაცემული სესხი გრძელვადიანი	-	3,553	-
გაცემული სესხი მოკლევადიანი	-	1,030	-
გაცემული სესხისგან მისაღები პროცენტი	-	45	-
რეალიზაცია	41	609	-
შესყიდვები	189	-	-
მარაგების შესყიდვა	-	1,988	-
მიღებული პროცენტი	-	715	-
საპროცენტო ხარჯი	3,143	-	-
აღანსად გაცემული სარგებელი – ხელფასები	-	-	39
დირექტორატი	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები	-	-	251
დირექტორატი (ხარჯი)	-	-	-

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარე	მანაჯმენტი
კრედიტორული დავალიანება	1,019	704	-
მოკლევადიანი სესხი მოთხოვნამდე	17,426	-	-
მოთხოვნამდე სესხის გადასახდელი პროცენტი	7,222	-	-
გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	909	-	-
გრძელვადიანი სესხი გრძელვადიანი ნაწილი	4,575	-	-
გრძელვადიანი სესხის გადასახდელი პროცენტი	54	-	-
გაცემული სესხი გრძელვადიანი	-	4,486	-
გაცემული სესხი მოკლევადიანი	-	909	-
გაცემული სესხისგან მისაღები პროცენტი	-	56	-
რეალიზაცია	41	100	-
შესყიდვები	292	-	-
მარაგების შესყიდვა	-	1,226	-
მიღებული პროცენტი	-	231	-
საპროცენტო ხარჯი	2,614	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები	-	-	276
დირექტორატი (ხარჯი)	-	-	-

შპს “მეგაკო თარიღი”-ს ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2022 წლის 1 იანვრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ბალანსები:

	დედა კომპანია	სხვა დაკავშირებული
კრედიტორული დავალიანება	781	211
მოკლევადიანი სესხი მოთხოვნამდე	15,670	-
მოთხოვნამდე სესხის გადასახდელი პროცენტი	5,766	-

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში:

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს მართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს მართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

შპს „მეგაკო თრეიდი“ (კომპანია) დაარსდა 2012 წლის 30 ივლისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 404953528). შპს „მეგაკო თრეიდი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების დისტრიბუცია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., 3ა, ბ. 50. სამივე საანგარიშო საბალანსო თარიღისათვის კომპანიის 100%-ის მფლობელს და დედა კომპანიას წარმოადგენს შპს „მეგაკო“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204875108).

შპს „მეგაკო“ 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

დამფუძნებლები	ფლობა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	ფლობა 2022 წლის 31 დეკემბრისათვის
კახა გოგავა (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01030022617)	23.33%	23.33%
ირინე ხაზარაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01024001864)	15%	15%
სოფიო ხაზარაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01030003653)	15%	15%
კობა თაყაიშვილი (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01034005761)	11.67%	11.67%
მერაბ გაგუა (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01026008003)	11.67%	11.67%
ინგა სვანიძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01024055467)	11.67%	11.67%
გრიგოლ ლომთაძე (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ: 01022004370)	11.66%	11.66%

კომპანიაში 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 142 და 135 ფიზიკური პირი შესაბამისად.

2. კომპანიის და მისი დედა კომპანიის საქმიანობა

დედა კომპანია

დედა კომპანია შპს „მეგაკო“ წარმოადგენს კვების პროდუქტების სადისტრიბუციო სფეროში ერთ-ერთ მონაწილეს და ძლიერ სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც ორიენტირებულია სრული სადისტრიბუციო მომსახურების განხორციელებაზე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. კომპანიის მიზანია - იყოს პატიოსანი და სანდო პარტნიორი და მიაწოდოს მომხარებელს ხარისხიანი პროდუქცია და მომსახურება.

დასახული მიზნის შესრულებას კომპანიაში ხელს უწყობს ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - სატრანსპორტო საშუალებების, პროგრამული უზრუნველყოფების სახით და ფილალების ქსელის განვითარებული სისტემა.

დედა კომპანიის ცენტრალური სასაწყობო და საოფისე ფართი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და განთავსებულია ერთ ტერიტორიაზე. საერთო ფართი შეადგენს 6,052 კვ.მ; სასაწყობო ფართი 3,774 კვ.მ; საოფისე ფართი 757 კვ.მ; ავტოსადგომის ფართი 1,520 კვ.მ. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 4 ფილიალი, რომლებიც დაფარვის მიხედვით მოიცავენ მთელი საქართველოს ტერიტორიას. კომპანიაში დასაქმებულია 540 თანამშრომელი, რომელიც მოიცავს მთელს საქართველოს და განაწილებულია თავისი ფუნქციონალის მიხედვით. ფილიალების სისტემა განვითარებულია ისეთი სახით, რომ ადგილზე მიიღებოდეს ყველა საჭირო გადაწყვეტილება, სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. როდესაც ვსაუბრობთ, ხარისხიან მომსახურებაზე, აქ მნიშვნელოვანი როლს ითამაშებს პროდუქციის დროული და სრული მიწოდება დანიშნულების ადგილზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც სრული დაფარვით ხორციელდება. ყველა ფილიალში მოქმედებს უნიციფიკებული სტრუქტურა, რომელიც ანალოგია ცენტრალური ოფისის და მოიცავს: საწყობს, სამანქანო ავტოსადგომებს და ოფისს. ხოლო სტრუქტურა მოიცავს მმართველობის ყველა რგოლს: მენეჯერიდან - საწყობის მუშა მომსახურემდე. ფილიალების არსებობა, ერთის მხრივ, ამარტივებს გადაწყვეტილებების ადგილზე მიღების

სისწრაფეს, სიტუაციიდან გამომდინარე და მეორეს მხრივ, საშუალებას აძლევს კომპანიას მოახდინოს მიწოდების ჯაჭვის სრული კონტროლი. (ფასები, მიღების დრო და სხვა).

დღეა კომპანიის სადისტრიბუციო მოდელი ეფუძნება მატრიცულ სისტემას, რომელიც მომსახურების ეფექტურობას ზრდის. პორტფელში არსებული პორდუქტების სპეციფიურობიდან გამომდინარე, ხდება როგორც შეკვეთის ე.წ. van sale და pre sale მეთოდების გამოყენება, ასევე ადაპტირებულია მათი - შერეული ვარიანტიც. აქვე რა თქმა უნდა მოქმედებს, მითანის გამართული სერვისის საშუალო ტევადობის ავტომატური საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ჩვენი კომპანიის მიერ დისტრიბუცია ხორციელდება „დისტრიბუციის მესამე დონის“ მიხედვით, რომელიც მოიცავს მასში მონაწილე სუბიექტების მთლიან ჯაჭვს, რაც შესაძლებელია ასე წარმოვიდგინოთ: მომწოდებელი/მწარმოებელი-სადისტრიბუციო კომპანია-მსხვილი საბითუმო წერტილები - საცალო და ქსელური სააგჭრო წერტილები - საბოლოო მომხმარებელი.

დღეა კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად პასუხობს კომპანიის მისიას და გამოწვევებს და სტრუქტურულად მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება: გაყიდვების გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია დასახული გეგმების შესრულებაზე და ადმინისტრაციული გუნდისაგან, რომელიც მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს გაყიდვების გუნდს მთავარი მიზნის შესრულებაში.

კომპანიის საქმიანობა

გამომდინარე იქიდან, რომ სადისტრიბუციო ბაზარი წარმოადგენს საკმაოდ ცვალებად სფეროს კომპანიის განვითარების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ახალი ბრენდების დამატება და მათი შეთავაზება მომხმარებლისათვის. ამ მიზნით შექმნილია 100%-ით სრულად შპს მეგაკოს მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანია, შპს მეგაკო თრეიდი, რომელიც თავის მხრივაც წარმოადგენს კვების პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების იმპორტიორ და დისტრიბუტორ კომპანიას. აღნიშნული შვილობილი კომპანია წარმოადგენს დღეა კომპანიის მსგავსი სტრუქტურის ფირმას, რომელიც უკვე თავისი მხრივ, ავითარებს სხვა ბრენდებს. მთავარი მონაპოვარი ამ ორი კომპანიის არსებობის არის ის სინერგიული ეფექტი, რომ შესაძლებელი ხდება საკმაოდ დიდი პორტფელის შეთავაზება მომხმარებლისათვის, რაც თავისი მხრივ აძლიერებს ცნობადობას და კომპანიის მდგომარეობას ბაზარზე.

2012 წლიდან დღემდე მეგაკო თრეიდი ჩამოყალიბდა, როგორც გამართული სტრუქტურისა და რესურსების მქონე, სანდო რეპუტაციის მქონე სადისტრიბუციო კომპანია, სადაც დასაქმებულია 142 ადამიანი და ისევე, როგორც დღეა კომპანია, მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს მის პაკეტში არსებული პროდუქციის დისტრიბუციას. მის სტრუქტურულ ერთეულში შედის 4 რეგიონალური (არაიურიდიული) ფილიალი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და თბილისის ცენტრალური ბაზა რაც საშუალებას იძლევა გამართულად და სწრაფად მუშობდეს ლოჯისტიკური და ადმინისტრაციული პროცესები. კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სეგმენტის, პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას მათ შორის ბრენდი „სოლელი“ კონსერვაცია, „ჩუმაკი“ ბაკალეა, „ ალანი“ ძეხვეული „კრიალა „ ჰიგიენური საშუალებები და სხვა. 2022 წელს „მეგაკო თრეიდი“-ის პაკეტს დაემატა მნიშვნელოვანი უკრაინული ბრენდი „შედრო“ და ასევე მნიშვნელოვანი ბრენდი „ჩაი გურიელი“ დაუბრუნდა კომპანიის სარეალიზაციო ბრენდების ჩამონათვალს.

2023 წელს კომპანია აგრძელებს ზრდის პროცესს, აწარმოებს მოლაპარაკებას რამდენიმე ახალ პროექტთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად ვითარდება HoReCa -ს მიმართულება. ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილში მიმდინარეობს სიახლეების დანერგვა .



ადგილობრივ ბაზარზე მიწოდებაზე ცვლილებები, რაც მდგომარეობს საცალო ობიექტების ჩანაცვლებას ქსელური ობიექტებით, რა თქმა უნდა ქმნის დამატებით სირთულეებს და გამოწვევებს. შემოთაღნიშნული აჩენს სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობას რაც ეტაპობრივად ხორციელდება კომპანიაში.

ვინაიდან რადგანაც სადისტრიბუციო კომპანია „მეგაკო თრეიდი“ შეიქმნა უდიდესი გამოცდილებისა და რესურსის მქონე დღეა კომპანიის ბაზაზე, მას აქვს ზუსტად განსაზღვრული სტრატეგია, სრულად დაკომპლექტებულია გამოცდილი კადრებით და დახვეწილი ტექნოლოგიური და ექსპორტ-იმპორტისთვის საჭირო პროცესი.


შპს “მეგაკო თრეიდი”-ს მართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბაზრის მიმოხილვა

საქსტატის მონაცემებით, ვაჭრობის დარგი (NACE 2 საქმიანობის კოდი G, H) ზოგადად ბოლო 2 წლის და 2024 სამი კვარტლის განმავლობაში შეადგენს მშპ-ს 20%, რაც დაახლოებით 20-21 მლრდ ლარის ტოლია, სადაც ძალიან დიდი წილი სწორედ დისტრიბუციის უჭირავს.



შპს “მეგაკო თარიღი”-ს მართვლობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



ეს დარგი ბოლო პერიოდში ხასიათდება საკმაოდ საინტერესო ტენდენციებით, საიდანაც გამოსაყოფია კომპანიების გამსხვილების ტენდენცია. შედარებით მსხვილი კომპანიების როგორც მატერიალური, ასევე საკადრო რესურსები, გარკვეულწილად სკოზის წვრილ კომპანიებს და ხდება მათი ან შერწყმა ან ბრენდების გადანაწილება. ზოგადად დარგში შესვლის ბარიერები იზრდება იმ კუთხით, რომ გარდა მძლავრი პროგრამული უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისა, ერთ-ერთ მთავარ და ამომავალ წერტილს წარმოადგენს პროდუქცია/ბრენდი, რომელიც მისაღები იქნება მომხმარებლისათვის როგორც ხარისხის, ასევე ფასის კუთხით. ამიტომ დღეისათვის სწორედ ამ მიმართულებით ხდება კომპანიების ფოკუსირება, რომ მოხდეს მათ პორტფელში, რაც შეიძლება მეტი კარგი და ახალი პროდუქციის დამატება და ამით ერთის მხრივ, მომხმარებლისთვის დამატებითი ღირებულების შექმნა და მეორეს მხრივ, ე.წ bargaining power.

მომხმარებლები

მომხმარებელთა ბაზა ძალიან მრავალრიცხოვანია, რომელიც დახლოებით 12 000 ობიექტს ითვლის. ესენია არიან, როგორც მიკრო და მცირე, ასევე საშუალო, მსხვილი და ქსელური ობიექტები. აქედან გამომდინარე გარკვეულწილად ბაზარი დივერსიფიცირებულია და არ წარმოადგენს რამოდენიმე მომხმარებელზე კონცენტრირებულ სფეროს. თუმცა უნდა აღინიშნოს ბოლო პერიოდის ტენდენციები, როცა ხდება ქსელური მარკეტების განვითარება და ეს თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს თვითონ დისტრიბუციის როლის და სტრუქტურის განვითარებაზე.

2023 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ორგანიზებული ვაჭრობის წილი და ეს თავის მხრივ დამატებითი გამოწვევაა კომპანისათვის, რომ უზრუნველყოს მისი სტრუქტურის და ფინანსური მოდელის მორგება ბაზრის კონუქტურაზე.

3. სამომავლო გეგმები

შემდეგი წლისთვის დაგეგმილია შემოსავლების და მომგებიანობის ზრდა.

- შემოსავლების ზრდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით.

როგორც წინა პერიოდში აღვნიშნეთ, დავიწყეთ service level-ის პროექტზე მუშაობა. გაანალიზდა მომსახურების დონის შემადგენელი კრიტერიუმები, მათი შესწავლა/შეფასება/დათვლის კრიტერიუმები, პროგრამული აწყობა/მონაცემები და მათი ექსპლუატაციაში ჩაშვების ვადები. ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესებით შემოსავლების ზრდის სერიოზულ მაჩვენებლებს ველოდებით.

- მომგებიანობის ზრდა საბრუნავი კაპიტალის კომპონენტების მართვის შედეგად.

შემოსავლების ზრდა მომგებიანობის ზრდის ერთ-ერთი კომპონენტია, თუმცა ასევე არსებული ხარჯების ოპტიმიზაცია დამატებით მოგების მომტანია. ჩვენი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, საბრუნავი კაპიტალის ეფექტური მართვა ხარჯების მართვის ტოლფასია. სამომავლო გეგმებში მარაგის დონის, ქსელში კონსიგნაციის მართვის საკითხები კომპანიის ტოპ პრიორიტეტებში ზის.

4. დასაქმებულთა რაოდენობა

კომპანიაში 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 142 და 135 ფიზიკური პირი შესაბამისად.

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

6. რისკების მართვა

კომპანიის და მისი დედა კომპანიის შპს მეგაკო ჯგუფის ფინანსური რისკების და კაპიტალის მართვის პოლიტიკა მოცემულია შპს მეგაკო ჯგუფის კონსოლიდირებულ 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

7. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

8. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

9. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2023 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 27 დეკემბერს.

ბნ. კახა გოგავა, დირექტორი
